სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080166959596523

№ 1085 03 / აპრილი / 2023 წ.

შპს „ბი ემ ჯორჯიას“ შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო“;

ტენდერის ნომერი: NAT210018635;

შესყიდვის ობიექტი: 45400000 – შენობის დასრულების სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „ბი ემ ჯორჯია“ (ს/ნ: 405220452);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 1 თებერვალს წარმოდგენილ იქნა სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ 2023 წლის 1 თებერვლის №MES8230000111113 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის №978), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ბი ემ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405220452) მიერ NAT210018635 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2021 წლის 8 ნოემბრის № 320701/03/164 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის t.sofroma@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 8 თებერვლის № 552 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2021 წლის 8 ნოემბრის № 320701/03/164 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2021 წლის 8 ნოემბერს, NAT210018635 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა“ და შპს „ბი ემ ჯორჯიას“ (ს/ნ: 405220452)

შორის დაიდო № 320701/03/164 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს 2022 წლის 7 მარტის ჩათვლით უნდა შეესრულებინა სსიპ ქალაქ თბილისის № 145 საჯარო სკოლის შენობის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 182 804,71 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2021 წლის 31 დეკემბერი.

4.2. შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 22 ნოემბრის № MES8210001252749 წერილით ირკვევა, რომ მიმწოდებელს ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჰქონდა დაწყებული, რის გამოც მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა გეგმა-გრაფიკს.

4.3. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 24 იანვრის № MES5220000053198 წერილით ირკვევა, რომ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით, ობიექტი განიცდიდა მუშახელის ნაკლებობას, გეგმა-გრაფიკთან იყო საგრძნობი ჩამორჩენა, რის გამოც საფრთხე ექმნებოდა სამუშაოების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში დასრულებას. ამავე წერილით მიმწოდებელს მოეთხოვა 2022 წლის 29 იანვრამდე უზრუნველეყო ობიექტი მუშახელით, სამშენებლო მასალებით და შესაბამისი ტექნიკით, გაეტარებინა ღონისძიებები ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად და ობიექტის ხელშეკრულებით განსაზღვრულ პერიოდში ჩასაბარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მიეცა გაფრთხილება პირგასამტეხლოს დაკისრებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2022 წლის 24 მაისის №MES4220000535868 წერილით ირკვევა, რომ ობიექტზე სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობდა დაბალი ტემპით და დღეების განმავლობაში სამუშაოები იყო შეჩერებული. ამავე წერილით მიმწოდებელს 2022 წლის 1 ივნისამდე მოეთხოვა უზრუნველეყო ობიექტი მუშახელით, სამშენებლო მასალებით და შესაბამისი ტექნიკით, გაეტარებინა ღონისძიებები ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად და მდგომარეობის გამოსასწორებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში მიეცა გაფრთხილება პირგასამტეხლოს დაკისრებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

4.5. სსიპ „საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს“ დირექტორის მოადგილის საკურატორო სამშენებლო ინფრასტრუქტურის განვითარების დარგში, მენეჯერის 2022 წლის 17 ივნისის № MES3220000660048 სამსახურებრივი ბარათით ირკვევა, რომ მიმწოდებელი სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა დაბალი ტემპით, ობიექტი სისტემატურად განიცდიდა სამშენებლო მასალების, მუშახელის და სპეციალისტების ნაკლებობას, გეგმა-გრაფიკთან შედარებით მუდმივად იყო საგრძნობი ჩამორჩენა, რაც საეჭვოს ხდიდა სამშენებლო სამუშაოების განსაზღვრულ პერიოდში დასრულებას. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით კომპანიის წარმომადგენლებთან პერიოდულად ხდებოდა სამუშაო შეხვედრები, ასევე მიმწოდებელი არაერთხელ იქნა გაფრთხილებული, მაგრამ მდგომარეობა იყო უცვლელი და სამუშაოები კვლავ ნელი ტემპით მიმდინარეობდა.

4.6. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 17 ივნისის № MES6220000661725 წერილით, ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო, ცალმხრივად შეწყვიტა 2021 წლის 8 ნოემბრის №320701/03/164 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება.

4.7. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტით ირკვევა, რომ მიმწოდებელს შესრულებული აქვს 86 601,32 ლარის სამუშაოები, რაც ხელშეკრულების ღირებულების 47%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ბი ემ ჯორჯია“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის

შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2021 წლის 8 ნოემბრის № 320701/03/164 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამდენად, არსებობს მისი გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (შესრულებულია ხელშეკრულების ღირებულების 47%). შესაბამისად, მოცემული დარღვევის გათვალისწინებით, შპს „ბი ემ ჯორჯია“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ბი ემ ჯორჯია“ (ს/ნ: 405220452) 2023 წლის 4 აპრილს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე